N გ-20-03/3822
16/11/2020

3822-გ-20-03-2-202011161829

შპს ,,ჯი-დი-ეს თი-ვის“

შეტყობინება

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 26 ნოემბერს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომა (ზეპირი მოსმენა) შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის და შპს ,,ჯი-დი-ეს თი-ვის“ წინააღმდეგ ალექსანდრე მახაშვილის, გიორგი გოცირიძის და შორენა თოფურიას საჩივრის (Nშ-20-9/5262; 08.10.2020) განხილვის მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დამატებით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, კერძოდ, დოკუმენტაციას, რომლითაც დასტურდება, რომ საჩივრის ავტორები წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დანართი:

1. საჩივრის ავტორთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების და მათი არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობების ასლები (7 ფურც. 1 ეგზ).

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია